ოქმი N 9

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 22 სექტემბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დოდო გაბუნია
2. მზია ლემონჯარია
3. ლეონიდე ლოლუა
4. ჯემალ ნადარაია
5. კახა მიქაბერიძე
6. გიორგი ხურცილავა
7. ირაკლი ნადარაია

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. გაბუნია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 21 სექტემბრის N06/1617 წერილის განხილვა („არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -7, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 21 სექტემბრის N06/1617 წერილის განხილვა („არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: დ. გაბუნია - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: დ. გაბუნია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 10 ივლისის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორი გამგეობაში შევიდა წინადადებით ხობის მუნიციპალიტეტის გაღმა საჯიჯაოს და საჯიჯაოს საბავშვო ბაღების ოპტიმიზაციის თაობაზე. გაღმა საჯიჯაოს საბავშვო ბაღში 2015-2016 სასწავლო წლისთვის ჩარიცხულია 4 აღსაზრდელი, რის გამოც შეუძლებელია სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამის ეფექტური განხორციელება. არადამაკმაყოფილებელია საბავშვო ბაღის შენობის მდგომარეობაც. საჯიჯაოს საბავშვო ბაღში 42 აღსაზრდელია ჩარიცხული, ხოლო ბაღს გარეთ დარჩენილია შესაბამისი ასაკის მქონე 17 აღსაზრდელი. მშობელთა მოთხოვნის გათვალისწინებით, გაღმა საჯიჯაოს ჯგუფის ხარჯზე დამატებით შესაძლებელია ახალი ჯგუფის გახსნა და გაღმა საჯიჯაოდან აღსაზრდელთა გადაადგილებისთვის ტრანსპორტით უზრუნველყოფა. გამომსვლელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

აზრი გამოთქვეს: გ. ხურცილავა - მისი თქმით გაღმა საჯიჯაოს საბავშვო ბაღში თანაფარდობა ჩარიცხულ აღსაზრდელთა და თანამშრომელთა რაოდენობას შორის 1:1-ია, ასევე საბავშვო ბაღში არსებული პირობების გათვალისწინებით რთულია მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულება და მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი წინადადება

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე დოდო გაბუნია